



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 572
20/03/2018

ქალაქი ბათუმი

572-05-4-201803201859



მადონა დავითაძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების II რანგის უფროსზე სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის ფუნქციის დროებით დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9-ე პუნქტისა და მადონა დავითაძის 2018 წლის 19 მარტის №804-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მადონა დავითაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების II რანგის უფროსს დაეკისროს ამავე სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის ფუნქციის დროებით შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე ქეთევან დევაძის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 20 მარტიდან 2018 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს შრომის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა